საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-10/41

ქ. ბათუმი 24 მარტი, 2020 წ

,,კორონა ვირუსული ინფექციების შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით ბსუ-ს პერსონალის სამსახურში გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 13 მარტის N01-10/37 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 თებერვლის №296 ბრძანების, ,,ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2020 წლის 02 მარტის №434 განკარგულების, ,ბსუ-ში 2019-2020 სასწავლო წელს გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის ორგანიზებულად ჩატარებისათვის გასატარებელი დროებითი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 16 მარტის №01-02/35 ბრძანების, ,,საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების, საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების გათვალისწინებით ,,კორონა ვირუსული ინფექციების შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით ბსუ-ს პერსონალის სამსახურში გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 13 მარტის N01-10/37 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, **ბრძანების პირველი პუნქტის ,,ა-დ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

   ,,ა) ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გამო ბსუ-ში სააუდიტორიო საგანმანათლებლო პროცესის 2020 წლის 21 აპრილამდე შეჩერებასთან დაკავშირებით ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა (აკადემიური და მოწვეული პერსონალი) სამუშაო შეასრულონ დისტანციური სწავლების/კომუნიკაციის საშუალებით, თანახმად ,,ბსუ-ში 2019-2020 სასწავლო წელს გაზაფხულის სემესტრის სასწავლო

პროცესის ორგანიზებულად ჩატარებისათვის გასატარებელი დროებითი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 16 მარტის №01-02/35 ბრძანებისა;

ბ) **2020 წლის 21 აპრილამდე** ბსუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურულმა ერთეულებმა, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და ფაკულტეტების ადმინისტრაციებმა (შემდეგში ყველა ერთად ,,ადმინისტრაცია“) სამუშაო შეასრულონ დისტანციურად. ,,ადმინისტრაციის“ პერსონალის წარმომადგენლები ბსუ-ს ტერიტორიაზე დაიშვან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების უფროსების მიერ განსაზღვრული, კრიტიკულად მნიშვნელოვანი აუცილებლობის შემთხვევებში;

გ) **2020 წლის 21 აპრილამდე** ბსუ-ს ,,ადმინისტრაციის“ პერსონალის წარმომადგენლებმა: ორსული; ქრონიკული დაავადების: გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის დაავადებების, დიაბეტის, ონკოლოგიური დაავადებების მქონე და ან/და 60 წელზე მეტი ასაკის დასაქმებულებმა სამუშაო შეასრულონ დისტანციურად და ბსუ-ს ტერიტორიაზე დაშვებული იქნეს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების უფროსების მიერ განსაზღვრულ, კრიტიკულად მნიშვნელოვანი აუცილებლობის შემთხვევებში და მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით;

დ) **2020 წლის 21 აპრილამდე** ბსუ-ს ტერიტორიაზე 10-ზე მეტი ფიზიკური პირის თავშეყრა დასაშვებად ჩაითვალოს არანაკლებ 2 მეტრის სოციალური დისტანციით და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით (კონტროლი აღნიშნულზე განახორციელოს ბსუ-ს დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილებამ).

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, სტრუქტურულ ერთეულებს და პერსონალს.
3. ბრძანების ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდსა და საინფორმაციო დაფებზე (კანცელარიასთან და ფაკულტეტებზე) განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა და კანცელარიამ, მათი კომპეტენციების შესაბამისად.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ალექსანდრე მითაიშვილი**